



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 22.10.2019 წლის #127/19¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თორნიკე აბუსელიძე (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორის განმარტებით საადვოკატო მომსახურების თანხა - 1000 ლარი, ადვოკატის მოთხოვნით გადარიცხა ადვოკატის მეუღლის ანგარიშზე. საჩივრის ავტორის განმარტებით ჰონორარის გადარიცხვის მეორე დღიდან ადვოკატმა საჩივრის ავტორთან გაწყვიტა კომუნიკაცია, ადვოკატმა საბოლოოდ მეუღლის ტელეფონით დაუკავშირდა საჩივრის ავტორს და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და გააფრთხილა, რომ თუ ამის შესახებ აცნობებდა ადვოკატთა ასოციაციას თანხას საერთოდ აღარ დაუბრუნებდა. საჩივრის ავტორმა მოითხოვა თანხის დაბრუნება თუმცა ადვოკატმა შეწყვიტა მასთან კომუნიკაცია და თანხა არ დაუბრუნა. ადვოკატის განმარტებით, მას არ ჰქონდა კომუნიკაციის პრობლემა საჩივრის ავტორთან. ადვოკატი კლიენტთან თითქმის ყოველ საღამოს საუბრობდა მის მიმართ სავარაუდოდ ჩადენილი თაღლითობის დეტალებზე, ინიშნავდა სავარაუდო მოწმეებს და საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებებს. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადაუგზავნა საქმის მასალები, აღნიშნულ მასალებზე დაიწყო მუშაო თუმცა დედის ავადმყოფობის გამო ვერ შეძლებდა რამოდენიმე დღე საქმეზე მუშაობას, რაც აცნობა საჩივრის ავტორს. ამის შემდეგ მას დაუკავშირდა საჩივრის ავტორის მეუღლე, რომელიც ადვოკატს დროის გაყვანაში ადანაშაულებდა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. საუბარში ჩაერთო საჩივრის ავტორი და მან ადვოკატის მისამართით დაიწყო გინება. ადვოკატი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიმართ გაჟღერებული შეურაცხმყოფელი ფრაზები წარმოთქვა არასტაბილური ფსიქოლოგიური მდგომარეობის დროს, რადგან თავად საჩივრის ავტორისგანაც მოდიოდა შეურაცხმყოფელი მიმართვები. ამავე დროს, მასზე გავლენას ახდენდა დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორს მოსთხოვა ანგარიშის ნომერი თანხის დასაბრუნებლად, თუმცა საჩივრის ავტორმა საბანკო რეკვიზიტები არ მიაწოდა. ადვოკატის განმარტებით, მხარეთა შორის არ მომხდარა კლიენტისგან მიღებული თანხის მიზნობრიობის განსაზღვრა და მასზე შეთანხმება. თანხა მოიცავდა, როგორც ჰონორარს, ასევე ხარჯებს. ადვოკატი მიიჩნევს, რომ მიღებული თანხიდან მან პროპორციულად გამოიმუშავა თანხის 20%.

პროცესუალური ისტორია

საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიას მომართა საჩივრით და მოითხოვა ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

სამართლებრივი შეფასება

განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია ნდობისა და კეთილსინდისიერების ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 3, 8.5).

ადვოკატი ვალდებულია პროფესიული საქმიანობა განახორციელოს კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, სათანადო გულისხმიერებით და მის მიმართ პატივისცემის ვალდებულების

¹ <https://gba.ge/pdf/620e5448e8e30.pdf/127.19,%20gaftrtileba%2001.11.2020.pdf>

დაცვით, რადგან კლიენტს მისი და ადვოკატის პროფესიის მიმართ არსებული ნდობა არ დაეკარგოს. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება ადვოკატის მხრიდან საჩივრის ავტორის, მისამართით წარმოთქმული შეურაცხყოფელი სიტყვების ფაქტი. ადვოკატის მიერ კლიენტის მისამართით წარმოთქმული ფრაზები სცდება გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებს, ისინი გადმოცემულია უხამსი ფორმით და მიუღებელია საზოგადოების ნებისმიერ წევრისთვის. შესაბამისად, ეთიკის კომისიის შეფასებით, კლიენტის მისამართით სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებით (გინებით), ადვოკატმა დაარღვია ნდობისა და კეთილსინდისიერების ეთიკური ვალდებულება.

განხილვის კოლეგიამ ასევე დაადგინა, რომ ადვოკატის მიერ დარღვეულია ჰონორარის ოდენობის, ჰონორარის გამოთვლის წესისა და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2, პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 8.6, 8.8).

ადვოკატმა ზუსტად უნდა განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა, მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია ამ ოდენობის გაანგარიშების წესის შესახებ, რაც მოიცავს კლიენტის ინფორმირებას იმის შესახებ, თუ მომსახურების რა ფარგლებს სთავაზობს ადვოკატი მის მიერ განსაზღვრული ჰონორარის სანაცვლოდ. სასურველია, მსგავსი გაანგარიშება ადვოკატმა გააკეთოს ეტაპების მიხედვით, რაც საბოლოო ჯამში, დაეხმარება ადვოკატსა და კლიენტსაც, ურთიერთობის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, გამოიანგარიშონ გამომუშავებული ჰონორარის პროპორციული ოდენობა. ადვოკატი ვალდებული იყო საჩივრის ავტორთან ურთიერთობის დაწყების დროს მიეწოდებინა ინფორმაცია საადვოკატო მომსახურების დაწყების მიზნით მოთხოვნილი თანხის მიზნობრიობის შესახებ, რადგან კლიენტს სცოდნოდა მის მიერ მითითებული 1000 ლარის რა ნაწილი იყო ადვოკატის ჰონორარი და რა - საქმის წარმოებისათვის აუცილებელი თანხა (მინდობილი თანხა). განხილვის კოლეგიამ მხარეთა ახსნა განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინა, რომ ადვოკატმა არ განუმარტა კლიენტს ადვოკატისთვის გადაცემული თანხის მიზნობრიობა და ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებული იყო კლიენტის საქმის წარმოებასთან. შესაბამისად, კომისიის შეფასებით, ადვოკატმა დაარღვია ჰონორარის ოდენობის, ჰონორარის გამოთვლის წესისა და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

განხილვის კოლეგიამ ასევე დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15). ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყდა ვადამდე, საჩივრის ავტორის ინიციატივით, რის საფუძველზეც ადვოკატს წარმოეშვა გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება. ადვოკატმა გამოიანგარიშა ეს ოდენობა და განმარტა, რომ მზად იყო კლიენტისათვის დაებრუნებინა 80%, რადგან 20%-ის სამუშაო შესრულებული ჰქონდა. თუმცა, ეს ვალდებულება ადვოკატმა არ შეასრულა. ადვოკატს კლიენტის მიმართ გააჩნია ფიდუციური ვალდებულება, რაც მოიცავს ადვოკატის მიერ კლიენტის ფულადი სახსრების კეთილსინდისიერ მართვას (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13). გამოუმუშავებელი ჰონორარი კლიენტის ფულად სახსრებს წარმოადგენს, ამ თანხის მესაკუთრე კლიენტია. შესაბამისად, ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა მართოს ეს სახსრები და ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუბრუნოს კლიენტს გამოუმუშავებელი

ჰონორარის პროპორციული ოდენობა. შესაბამისად, ადვოკატმა ასევე დაარღვია გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობის კლიენტისთვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატის მიერ დარღვეულია ნდობის, კეთილსინდისიერების, კლიენტისთვის ჰონორარის ოდენობისა და გამოთვლის წესის, მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულებები (პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 3, 8.5, 8.6, 8.8, 8.15). ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.